



შეზღუდული პასუხისმგებლობის

საზოგადოება

„ემ ფარმა“

**ინდივიდუალური
ფინანსური ანგარიშგება**

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლისათვის

საქართველო, ქ. თბილისი
2020 წელი

შინაარსი:

1. სრული შემოსავლის ანგარიშგება
2. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
3. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
4. ფულადი ნაკადების ანგარიშგება
5. ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

		31.12.2020	31.12.2019
ამონაგები	4	4,615,497	4,516,432
სხვა შემოსავალი	5	6,860	17,814
კაპიტალიზებული სამუშაოები			-
ცვლილებები მარაგსა და დაუმთავრებელ წარმოებაში		(68,377)	24,854
მარაგის შეძენა		(3,752,112)	(3,840,360)
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოს ხარჯი		(695,533)	(752,073)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები	6	(250,041)	(250,418)
შეძენილი მომსახურების ხარჯები	7	(218,070)	(191,314)
საგადასახადო ხარჯი			(5,789)
სხვა საოპერაციო ხარჯი	8		(22,898)
მოგება-ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან		(361,775)	(503,751)
საკუროს სხვაობებით გამოწვეული შემოსულობა/ხარჯი		(81,179)	(57,495)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		10,456	
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(204,701)	(119,031)
მოგება-ზარალი დაბეგვრამდე		(637,199)	(680,277)
მოგების გადასახადი			
საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი		(637,199)	(680,277)
სხვა სრული შემოსავალი		511,917	
სულ სრული შემოსავალი		(125,282)	

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:

Handwritten signatures of the Director and Chief Accountant.



თამაზ დვალისვილი

ნინო ბასილაძე

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

		31.12.2020	31.12.2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	989,888	513,149
არამატერიალური აქტივი	10	12,752	16,938
იჯარით აღებული ქონების აქტივების გამოყენების უფლება		498,744	682,665
ინვესტიცია სხვა საწარმოში	11	-	110
მოთხოვნა დამფუძნებლის მიმართ			
კაპიტალის შევსებაზე	12	<u>318,010</u>	<u>318,010</u>
სულ გრძელვადიანი აქტივები		<u><u>1,819,395</u></u>	<u><u>1,530,872</u></u>
მიმდინარე აქტივები			
მარაგი	13	1,128,710	1,197,087
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14	54,289	157,126
საგადასახადო მოთხოვნები		24,895	9,378
ფულადი სახსრები	15	<u>37,668</u>	<u>45,119</u>
სულ მიმდინარე აქტივები		<u><u>1,245,561</u></u>	<u><u>1,408,710</u></u>
სულ აქტივები:		<u><u>3,064,956</u></u>	<u><u>2,939,582</u></u>
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		6,000,000	6,000,000
გადაფასების რეზერვი		511,917	
გაუნაწილებელი მოგება_ზარალი		<u>(5,465,944)</u>	<u>(4,828,745)</u>
სულ საკუთარი კაპიტალი		<u><u>1,045,973</u></u>	<u><u>1,171,255</u></u>

გრძელვადიანი ვალდებულებები

საიჯარო ვალდებულებები	16	<u>451,424</u>		617,663
				617,663
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		<u>451,424</u>		
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17	1,314,752	966,235	
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულებების მიმდინარე ნაწილი		<u>252,807</u>	<u>184,430</u>	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		<u>1,567,559</u>		<u>1,150,665</u>
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		<u>3,064,956</u>		<u>2,939,582</u>

დირექტორი:

მთ.ბუღალტერი:

თ. დვალიშვილი
6. მთ.ბუღალტერი



თამაზ დვალიშვილი

ნინო ბასილაძე

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	საწესდებო	გაუნაწილებელი	გადაფასების	სულ
	კაპიტალი	მოგება/ზარალი	რეზერვი	
ნაშთი 31.12.2017	<u>5,000,000</u>	<u>(3,643,080)</u>		<u>1,356,920</u>
პერიოდის წმინდა მოგება ზარალი		(505,388)		(505,388)
ნაშთი 31.12.2018	<u>5,000,000</u>	<u>(4,148,468)</u>		<u>851,532</u>
პერიოდის წმინდა მოგება ზარალი		(680,277)		(680,277)
კაპიტალის გაზრდა	1,000,000			1,000,000
ნაშთი 31.12.2019	<u>6,000,000</u>	<u>(4,828,745)</u>		<u>1,171,255</u>
სულ სრული შემოსავალი		(637,199)	511,917	(125,282)
ნაშთი 31.12.2020	<u>6,000,000</u>	<u>(5,465,944)</u>	<u>511,917</u>	<u>1,045,973</u>

დირექტორი
მთ.ბუღალტერი



 თამაზ დვალიშვილი
 ნინო ბასილაძე

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

ფულადი ნაკადების ანგარიშგება პირდაპირი მეთოდით

	2020 წ.	2019 წ.
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტიდან მიღებული ფულადი სახსრები	4,868,151	4,777,257
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(4,074,781)	(3,944,792)
თანამშრომლებზე გადახდილი ფული	(595,626)	(576,724)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები	<u>199,138</u>	<u>255,741</u>
გადახდილი გადასახადები	(195,326)	(230,132)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	<u>3,812</u>	<u>25,609</u>
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(9 867)	(11,305)
არამატერიალური აქტივის შეძენა	-	-
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	<u>(9,867)</u>	<u>(11,305)</u>
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სხვა ფინანსური შემოსავალი		17
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		<u>17</u>
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა	<u>(6,055)</u>	<u>14,321</u>
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	<u>45,119</u>	<u>30,798</u>
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	<u>37,667</u>	<u>45,119</u>

დირექტორი

მთ.ბუღალტერი



თამაზ დვალისვილი

ნინო ბასილაძე

ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ემ ფარმა“ წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას რომელიც დაფუძნებულია და ფუნქციონირებს საქართველოში, რეგისტრირებულია სამეწარმეო და საგადასახადო რეესტრში 2005 წლის 25 ნოემბრიდან და წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიულ პირს. საწარმოს საიდენტიფიკაციო ნომერია 202294908. ხოლო იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, დგებუადის ქ. N1/უზნაძის ქ. N76/1.

საწარმოს პარტნიორი და 100%-ის წილის მფლობელია სს „კომპანია მედინსერვი“, რომელიც არის სააქციო საზოგადოება, რეგისტრირებულია 1996 წლის 19 მაისს, საქართველოში, ქ. თბილისი, დგებუადის #1-ში. საწარმოს საწესდებო კაპიტალის შევსებული არა აქვს სრულყოფილად და მას კაპიტალის შევსების ვალდებულება აკისრია.

შპს „ემ ფარმა“ ფლობს შვილობილ საწარმოს - შპს „Mფარმა &R“ (სკ 202304354) და აქვს 85 %-იანი მაკონტროლებელი ურთიერთობები, ასევე ამავე საწარმოსთან აქვს ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება.

ამ საწარმოს ანგარიშგების კონსოლიდირებას შპს „ემ ფარმა“ არ ახდენს, რადგან კონსოლიდირებას მოახდენს სს „კომპანია მედინსერვი“.

შპს „ემ ფარმას“ (შემდგომში „საწარმო“) ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამკურნალო საშუალებებისა და მედიკამენტების შეძენა და რეალიზაცია საბითუმოდ და საცალოდ, თავისივე სააფთიაქო ქსელის მეშვეობით. აღნიშნული საქმიანობის განხორციელებისათვის საწარმო სამკურნალო საშუალებებისა და მედიკამენტების შეძენას და რეალიზაციას ახორციელებს როგორც რეზიდენტ ასევე არარეზიდენტ კომპანიებთან თანამშრომლობით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

შპს „ემ ფარმას“ წლიური ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადება ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს. საწარმოს მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადობის დაშვება შესაბამისია საწარმოსათვის პროგნოზირებად მომავალში.

საწარმოს საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს. ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება შედგენილია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. საწარმო ინდივიდუალურ ფინანსური ანგარიშგებისათვის წარსადგენ ვალუტად იყენებს საქართველოში მოქმედ ეროვნულ ვალუტას „ლარს“. ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი რიცხვების სიზუსტის ხარისხი დაყვანილია „ლარამდე“

ბიზნეს გარემო საქართველოში

საწარმოს საქმიანობა მომსახურების ნაწილში არ რეგულირდება სპეციალური საკანონმდებლო-ნორმატიული აქტებით. საწარმოს საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებიც წარმოადგენენ განვითარებადი ქვეყნების ბაზრებს. სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი ბაზები ჯერ კიდევ ვითარდება და განიცდის სხავდასხვა ინტერპრეტაციებსა და ცვლილებებს მათი სრულყოფის მიმართულებით.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკის ის არსებითი ნაწილი, რომელიც თანმიმდევრულად გამოიყენებოდა წარმოდგენილი ინდივიდუალურ ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

3.1 შესაბამისობის პრინციპი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

3.2 ფინანსური ანგარიშგების მომზადების პრინციპები

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. საწარმო არ ფლობს ისეთ ინსტრუმენტებს, რომელთა შეფასებაც უნდა მომხდარიყო რეალური ღირებულებით. ისტორიული ღირებულება, ჩვეულებრივ განისაზღვრება საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ გადაცემული ანაზღაურების რეალური ღირებულებით. რეალური ღირებულება განისაზღვრება როგორც ფასი, რომელიც მიღებული ან გადახდილი იქნებოდა აქტივის გაყიდვიდან ან ვალდებულების გადაცემისას, ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისთვის ნებაყოფლობით განხორციელებული გარიგების დროს.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის დაშვებით, ანუ დაშვებით, რომ საწარმო განაგრძობენ ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. სათავე საწარმოს მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადობის დაშვება შესაბამისია საწარმოსათვის.

3.3 სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

საწარმოს სამუშაო ვალუტა არის ეროვნული ვალუტა „ლარი“. ვალუტა, რომლითაც განსაზღვრულია საწარმოს საქონლისა და მომსახურების გასაყიდი ფასები და რითაც ხდება ანგარიშსწორება. მოცემული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებისათვის წარსადგენ ვალუტად გამოყენებულია ეროვნულ ვალუტა - ლარი.

3.4 ამონაგების აღიარება

3.4.1 საქონლის გაყიდვა

გაყიდვებთან დაკავშირებული ამონაგების აღიარება ხდება საქონლის (მომსახურების) მიწოდების და საკუთრების უფლების გადაცემის მომენტში. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ფასდაკლებებით.

საწარმო საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებულ ამონაგებს აღიარებს მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

- ა) საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;
- ბ) საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;
- გ) შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა;
- დ) მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და
- ე) შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

ამონაგები მოიცავს მხოლოდ საწარმოს მიერ თავის ანგარიშზე მიღებულ ან მისაღებ ეკონომიკური სარგებლის საერთო თანხას. მესამე მხარის სახელით მიღებული თანხები, როგორიცაა მაგ. დამატებითი ღირებულების გადასახადი, არ მიეკუთვნება ამონაგებს.

3.4.2 დივიდენდი

საწარმოს შესაძლებლობა, გამოაცხადოს და გადაიხადოს დივიდენდი, ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობის მიერ დაწესებულ წესებსა და ნორმებს.

როდესაც საწარმო დივიდენდებს გასცემს კაპიტალის წილის მფლობელებზე, მას ევალება დივიდენდების დაბეგვრა გადახდის წყაროსთან. გადასახადის თანხა, რომელიც გადაიხდება ან ექვემდებარება გადახდას საგადასახადო ორგანოებისათვის, აისახება საწარმოს საკუთარი კაპიტალში, როგორც დივიდენდების ნაწილი.

3.5 უცხოური ვალუტა

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარების დროს აისახება სამუშაო ვალუტით, ოპერაციის შესრულების თარიღისათვის სამუშაო ვალუტასა და მოცემულ უცხოურ ვალუტას შორის არსებული სპოტ სავალუტო კურსის მიხედვით.

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებულ ფულად მუხლებს წარადგენს საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საწარმო არ ფლობს უცხოურ ქვედანაყოფში დაბანდებული ინვესტიციას. შესაბამისად საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულად მუხლებთან დაკავშირებული ანგარიშსწორებისას, ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში თავდაპირველი აღიარების დროს, ან წინა პერიოდის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

3.6 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მხოლოდ მიმდინარე მოგების გადასახადს. მოგების გადასახადის გაანგარიშება ხდება საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი საგადასახადო განაკვეთების საფუძველზე. მიმდინარე მოგების გადასახადი მოიცავს საანგარიშგებო პერიოდში განაწილებული დივიდენდიდან გამომდინარე გადასახდელი მოგებიდან გადასახადის თანხას. საანგარიშგებო პერიოდში გამოცხადებული დივიდენდის განაწილებიდან წარმოშობილი გადასახდელი მოგების გადასახადი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდების დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადი აღიარდება დივიდენდის გამოცხადებისთანავე მოგება ან ზარალში.

3.7 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ღირებულება აქტივად აღიარდება თუ მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელი იქნება აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

ძირითადი საშუალების ერთეული, რომელიც აკმაყოფილებს აქტივის აღიარების კრიტერიუმებს, შეფასდება მისი თვითღირებულებით.

აქტივად აღიარების შემდეგ, ძირითადი საშუალებების ერთეული აღირიცხება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება იმგვარად, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების განაწილება მოხდეს აქტივის მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

ყოველი პერიოდის ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს თანხა შედის სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე. ძირითადი საშუალებების ცვეთის განაგარიშებისთვის გამოიყენება შემდეგი განაკვეთები:

შენობა-ნაგებობები	3-5%
მანქანა-დანადგარები	10-20%
საოფისე აღჭურვილობა	10-20%
ავეჯი და მოწყობილობები	10-20%
სატრანსპორტო საშუალებები	10-20%
სხვა ძირითადი საშუალებები	10-15%

თუ არსებობს რაიმე მინიშნება, რომ ცვეთის განაკვეთებში, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადაში ან ნარჩენ ღირებულებაში მოხდა რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება, მოხდება აქტივის ცვეთის პოლიტიკის გადასინჯვა და კორექტირება, რათა ასახოს მიმდინარე შეფასებები აქტივის მოსალოდნელ გამოყენებასთან დაკავშირებით. საწარმოს საკუთრებაში არსებულ მიწას ცვეთა არ ერიცხება.

ძირითადი საშუალების ერთეულის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

ძირითადი საშუალების ერთეულის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აისახება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა. შემოსულობა არ კლასიფიცირდება როგორც ამონაგები. შემოსულობა ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ერთეულის აღიარების შეწყვეტისას, განისაზღვრება, როგორც სხვაობა წმინდა გასვლის ამონაგებსა და მის საბალანსო ღირებულებას შორის.

3.8 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. ცვეთის დარიცხვა ხდება იმგვარად, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების განაწილება მოხდეს აქტივის მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე 15% განაკვეთით.

3.9 აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმო საზღვროავს, არსებობს თუ არა მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. რომელიც ვლინდება მაშინ, როდესაც აქტივის საბალანსო ღირებულება მეტია მის ანაზღაურებად ღირებულებაზე. ასეთის არსებობის შემთხვევაში, საწარმო აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას.

როდესაც მოცემული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლები აღმოჩნდება მის საბალანსო ღირებულებაზე, აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და აღიარდება ხარჯის სახით მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

როცა გაუფასურების ზარალის აღიარების შემდეგ აღგილი ექნება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრისათვის გამოყენებულ შეფასებების ცვლილებებს და აღდგება გაუფასურების ზარალი, აქტივის საბალანსო ღირებულება უნდა გაიზარდოს მის ანაზღაურებად ღირებულებამდე ისე, რომ გაუფასურების ზარალის კომპენსირების შედეგად აქტივის გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას (ამორტიზაციისა და ცვეთის გამოკლებით), რომელიც მიღებული იქნებოდა, წინა წლებში გაუფასურების ზარალის აღიარება რომ არ მომხდარიყო.

3.10 მარაგი

საწარმოს მარაგი შეფასებულია მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მათი შეძენის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა დამატებული ღირებულების გადასახადისა), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და, იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული შეძენასთან. სავაჭრო დათმობა, სხვადასხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში.

ყველა მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისათვის საწარმო იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულას.

მარაგის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის ნებისმიერი თანხა, აგრეთვე მარაგის დანაკარგის თანხები, აღიარდება იმ პერიოდის ხარჯებად, როცა მოხდა ჩამოწერა ან აღგილი ჰქონდა დანაკარგებს. მარაგის ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანუღირების) თანხა აღიარდება უკუგატარების პერიოდში ხარჯად აღიარებული მარაგის თანხის შემცირებად.

3.11 ფინანსური ინსტრუმენტები

საწარმო მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ საწარმო ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

თავდაპირველი აღიარებისას საწარმო ფინანსურ აქტივსა და ფინანსურ ვალდებულებას აფასებს რეალური ღირებულებით, რომელსაც (ფინანსური აქტივისა და ფინანსური ვალდებულების შემთხვევაში, რომელიც შეფასებული არ არის რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით), დამატებული ან გამოკლებული აქვს გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან, ან ფინანსური ვალდებულების გამოშვებასთან.

3.12 ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება როგორც: რეალური ღირებულების შეფასებული ფინანსური აქტივი მოგებაში ან ზარალში ასახვით; დაფარვის ვადამდე ფლობილი; გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები; სესხები და მოთხოვნები;

3.12.1 ეფექტური საპროცენტო განაკვეთი

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება მომავალში, ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის განმავლობაში, ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე პერიოდის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი შეფასებული ფულადი ნაკადები ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ნეტო საბალანსო ღირებულებამდე.

3.12.2 სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომელთა ფასი აქტიურ ბაზარზე არ არის კოტირებული. სესხები და მოთხოვნები (სავაჭრო და სვა მოთხოვნების, ფულადი სახსრების ჩათვლით) ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გამოთვლილი პროცენტის თანხა, გარდა მოკლევადიანი მოთხოვნებისა, რომელიც უნმიშვნელო იქნებოდა, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

3.12.3 წილობრივი ინსტრუმენტები

საწარმო წილობრივ ინსტრუმენტებში განხორციელებული ინვესტიციებს, რომლებსაც არ გააჩნია აქტიურ ბაზარზე კოტირებული ფასი და რომლის რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება შეუძლებელია, აფასებს თვითღირებულებით. ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში შვილობილ, ერთობლივად კონტროლირებად და მეკავშირე საწარმოებში დაბანდებული ინვესტიციები აისახება თვითღირებულებით.

3.12.4 მოთხოვნების გაუფასურება

თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ამორტიზებული ღირებულებით ასახულ მოთხოვნებთან დაკავშირებული გაუფასურების ზარალი წარმოიშვა, გაუფასურები ზარალის ოდენობა უნდა შეფასდეს, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. აქტივის საბალანსო ღირებულება უნდა შემცირდეს რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. ზარალის თანხა უნდა აღიარდეს მოგებაში ან ზარალში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმო ადგენს, გაუფასურების ობიექტური მტკიცებულების არსებობას ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივებისათვის და განცალკევებით ან ერთობლივად ისეთი ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც ინდივიდუალურად არ არის მნიშვნელოვანი. თუ საწარმო დაადგენს, რომ არ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივისთვის, მიუხედავად იმისა, მნიშვნელოვანია თუ არა იგი, საწარმო ამ აქტივს მიაკუთვნებს მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე ფინანსურ აქტივთა ჯგუფს და ერთად ამოწმებს მათ გაუფასურებას. გაუფასურების ობიექტურ ნიშანი შეიძლება იყოს წარსულის მონაცემები დაფარვასთან დაკავშირებით, დაფარვის საშუალო ვადის გადაცილება, რომელიც საწარმოს მიერაა დადგენილი, ასევე საგრძნობი ცვლილება ეკონომიკაში, რომელმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს მოთხოვნების დაფარვაზე. მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, ხდება საექვო მოთხოვნების შეფასება და გაუფასურების ზარალის განსაზღვრა. მოთხოვნების გაუფასურების ზარალის თანხა აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

3.13 ფინანსური ვალდებულებები

საწარმოს ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია როგორც სხვა ფინანსური ვალდებულებები და წარმოდგენილია მიღებული სესხების, სავაჭრო ვალდებულებებისა და სხვა ვალდებულებების სახით.

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ნორმალურ საკრედიტო პირობებში განხორციელებული ოპერაციების დროს წარმოშობილ ვალდებულებებს, რომლებიც პროცენტის მატარებელი არ არის. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული სავაჭრო ვალდებულებების გადაყვანა ხდება ადგილობრივ ფულად ერთეულში საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული გასაცემი კურსის გამოყენებით. კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება სხვა შემოსავალში და ხარჯებში.

საწარმოს ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

3.14 მომუშავეთა გასამრჯელო

საწარმო დასაქმებულ პირებზე გადასხდელი გასამრჯელოს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია ხელფასთან, ფასიან შევებულებასთან და ბიულეტენტთან, აღიარებს იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც დასაქმებული პირები გასწევნ შესაბამის მომსახურებას. მომუშავეთა მოკლევადიან გასამრჯელოებთან დაკავშირებული გასამრჯელოები ფასდება იმ თანხის არადისკონტირებული ოდენობით, რომლის გადახდასაც საწარმო აპირებს გაწეული მომსახურებისათვის. ვალდებულების სახით აღიარებული მოკლევადიანი გასამრჯელო აღიარდება როგორც ხარჯი, თუ რომელიმე სხვა ფასს არ მოითხოვს, რომ გასამრჯელოები ჩაირთოს აქტივის თვითღირებულებაში. ანალოგიურად, ანაზღაურებადი შევებულების ფორმის

დასაქმებული პირის მოკლევადიანი გასამრჯელოებისთვის მოსალოდნელი დანახარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც დაფიქსირდება სამუშაოზე არყოფნის ფაქტი.

3.15 ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

იჯარა კლასიფიცირებულია, როგორც საოპერაციო იჯარა. შესაბამისად საიჯარო გადასახდელები იჯარის ვადის განმავლობაში ხარჯად აღიარდება წრფივი მეთოდით.

3.16 სასამართლო დავები

საწარმო აღიარებს მხოლოდ ისეთ ანარიცხებს, როცა არსებობს მიმდინარე ვალდებულება წარმოშობილი წარსულში მომხდარი მოვლენის გამო, მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გადაცემა და მისი შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი. ისეთ შემთხვევებში როცა ეს კრიტერიუმები არ კმაყოფილდება, პირობითი ვალდებულება შესაძლოა აისახოს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში. იმ პირობითი ვალდებულებების რეალიზაციას, რომელიც ჯერჯერობით არ არის აღიარებული ან ასახული ფინანსური ანგარიშგებაში, შესაძლოა არსებითი გავლენა მოახდინოს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე. აღრიცხვის ამ პრინციპების გამოყენება სასამართლო შემთხვევებითვის მოითხოვს რომ საწარმოს მენეჯმენტმა მიუთითოს გადაწყვეტილებები ისეთ ფაქტიურ და იურიდიულ საკითხებზე რომელიც მის კონტროლს არ ექვემდებარება.

4. ამონაგები

	დასახელება	2020 წელი	2019 წელი
1	შემოსავალი რეალიზაციიდან - საქონელი	4,639,198	4,610,332
2	ფასდათმობა	(27,905)	(103,183)
3	შემოსავალი მომსახურებიდან	4,204	9,253
	ჯამი:	4,615,497	4,516,432

5. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი	2020	2019
კრედიტ ნოტა და სხვა ფასდათმობები	-	-
უსასყიდლო ფასეულობიდან (საჩუქარი) მიღებული შემოსავალი	2,167	2,352
სტაჟირების სისტემიდან შემოსავალი	975	2,500
სხვა შემოსავალი	3,719	12,962
ჯამი:	6,861	17,814

6. ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი**ცვეთის ხარჯი**

	2020	2019
საკუთარ მფლობელობაში არსებული შენობების ცვეთა	20,397	18,951
იჯარით აღებული უძრავი ქონების გამოყენების უფლების ცვეთა	196,237	195,005
სხვა ძირითადი საშუალებების ცვეთა	29,221	32,343
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	4,187	4,119
სულ	250,041	250,418

7. შეძენილი მომსახურების ხარჯი**შეძენილი მომსახურების ხარჯები**

	2020	2019
საიჯარო ქირა	-	-
ოფისის იჯარა	18,951	13,908
ელ.ენერგიის ხარჯი	28,365	31,954
გაზი	9,072	9,694
დასუფთავების მოსაკრებელი	1,514	1,559
წყალი	3,367	2,578
დერატიზაცია დეზინფექციის ხარჯები	200	400
ჩაუთვლელი დღგ-ს ხარჯი	42,112	40,358
ტერმინალის მომსახურების ხარჯი	34,487	22,566
ბანკის მომსახურების ხარჯი	2,378	2,058
საკონსულტაციო ხარჯი	4,446	10,568
რეკლამის ხარჯი	9,740	10,074
სარეკლამო საშუალების რემონტის ხარჯი	350	1,470
დაცვის მომსახურების ხარჯი	7,866	7,017
პროგრამული მომსახურება	6,412	6,424
ინტერნეტის ხარჯი	7,941	7,793
ტელეფონის ხარჯი	2,171	2,504
სალარო აპარატის მომსახურების ხარჯი	3,975	4,144
წოვას და ოპპას მომსახურების საკომისიო	2,607	9,552

მივლინების ხარჯები	2,175	2,400
ა/მ ხარჯები		2,234
წარმომადგენლობითი ხარჯი	103	169
საგადასახადო ხარჯი	7,692	5,789
Covid-19 დაკავშირებული ხარჯები	11,227	
დაზღვევის ხარჯი	887	
სხვა საერთო ხარჯი	10,033	1,890
სულ	218,070	197,103

8. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი

	2020	2019	2018
გაუფასურების რევერსირება	4,464	-	-
არასაოპერაციო შემოსავალი	5,992	-	-
სულ	10,456	-	-

9. სხვა არასაოპერაციო ხარჯი

	2020	2019	2018
გრძელვადიანი იჯარის დისკონტის ხარჯი	110,315	119,031	-
მოთხოვნის ჩამოწერის ხარჯი	89,291		
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	5,095		
სულ	204,701	119,031-	-

10. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები

	შენიშნა- ნაგებობები	იჯარით აღებული კეთილმოწყობა	ოფისის აღჭურვილობა	ავტო და სხვა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
ისტორიული ღ-ბა 31.12.2017	611,953	12,869	171,898	240,970	39,741	1,077,431
შემოსვლა			13,917	1,939		15,856
გასვლა			(25,754)	(3,298)		(29,052)
ისტორიული ღ-ბა 31.12.2018	611,953	12,869	160,061	239,611	39,741	1,064,235
შემოსვლა			8,450	2,896		11,345
ჩამოწერა			(11,958)	(32,078)		(44,036)
ისტორიული ღ-ბა 31.12.2019	611,953	12,869	156,553	210,429	39,741	1,031,545
შემოსვლა			11,024	3,416		
გადაფასებამდე დაგრ ცვეთ გადახურვა , ჩამოწერა	(212,234)		(121,326)	(189,114)	(16,406)	
გადაფასება	432,780		30721	38,619	9,796	
დაგრ. ცვეთა 31.12.2017	153,934	11,865	126,890	176,488	3,254	472,431
პერიოდის ცვეთა	18,951	157	12,233	24,476	5,376	61,193
გასვლა			(25,312)	(1,179)		(26,491)
დაგრ. ცვეთა 31.12.2018	172,885	12,022	113,811	199,785	8,630	507,133
პერიოდის ცვეთა	18,951	117	9,542	17,319	5,365	51,294
ჩამოწერა			(8,906)	(31,126)		
დაგრ. ცვეთა 31.12.2019	191,836	12,139	114,447	185,979	13,995	518,395
პერიოდის ცვეთა	20,397	-	13,246	8,997	6,977	49,618
გადაფასებამდე დაგროვილი ცვეთის გადახურვა, ჩამოწერა	(212,234)		(121,326)	(189,114)	(16,406)	(539,080)
დაგრ. ცვეთა 31.12.2020	(0)					
		12,139	6,367	5,862	4,566	28,933
წმინდა საბალანსო ღ-ბა 31.12.2017	458,019	1,004	45,008	64,482	36,487	605,000
წმინდა საბალანსო ღ-ბა 31.12.2018	439,068	847	46,250	39,826	31,111	557,102
წმინდა საბალანსო ღ-ბა 31.12.2019	420,117	730	42,106	24,450	25,746	513,150
წმინდა საბალანსო ღ-ბა 31.12.2020	832,500	730	70,605	57,487	28,566	989,888

11. არამატერიალური აქტივები

	პროგრამული უზრუნველყოფა	სხვა არამატერიალური აქტივები	სულ
31 დეკემბერი 2017	43,422	3,446	46,868
შემოსვლა	-	-	-
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი 2018	43,422	3,446	46,868
შემოსვლა	-	-	-
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი 2019	43,422	3,446	46,868
31 დეკემბერი 2020	43,422	3,446	46,868
<u>ცვეთა და გაუფასურება</u>			
31 დეკემბერი 2017	20,485	1,182	21,667
პერიოდის ცვეთა	3,932	211	4,143
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი 2018	24,417	1,393	25,810
პერიოდის ცვეთა	3,932	188	4,119
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი 2019	28,349	1,581	29,929
პერიოდის ცვეთა	3,999	188	4,187
31 დეკემბერი 2020	32,348	1,768	34,116
<u>წმინდა საბალანსო ღირებულება</u>			
31 დეკემბერი 2017	22,937	2,264	25,201
31 დეკემბერი 2018	19,005	2,053	21,058
31 დეკემბერი 2019	15,073	1,866	16,939
31 დეკემბერი 2020	11,074	1,678	12,752

12. იჯარით აღებული აქტივების გამოყენების უფლება

სააფთიაქო ქსელისთვის		
იჯარით არებული		სულ
ქონების გამოყენების უფლება		
31 დეკემბერი 2018	-	
ფასს 16-ის პირველად გამოყენების შედეგად აღიარებული გამოყენების უფლება 01,01,2019-ის მდგომარეობით	877,670	877,670
დამატება	-	-
სხვა ცვლილება	-	-
31 დეკემბერი 2019	877,670	877,670
ფასს 16-ის პირველად გამოყენების შედეგად აღიარებული გამოყენების უფლება 01,01,2019-ის მდგომარეობით	-	-
დამატება	12316	12316
სხვა ცვლილება	-	-
31 დეკემბერი 2020	889,986	889,986

13.. მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში

	2020	2019
ინვესტიცია შვილობილ საწარმოში	-	110
სულ	-	110

14. ცვეთა და გაუფასურება

31 დეკემბერი 2018	-	=
პერიოდის ცვეთა	195,005	195,005
გაუფასურება	-	-
31 დეკემბერი 2019	195,005	195,005
პერიოდის ცვეთა	196,237	196,237
გაუფასურება	-	-
31 დეკემბერი 2020	391,242	391,242

15. წმინდა საბალანსო ღირებულება

31 დეკემბერი 2018	-	-
31 დეკემბერი 2019	682,665	682,665
31 დეკემბერი 2020	498,744	498,744

16. ფულადი სახსრები

	2020	2019
ფული საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში	11,678	14,813
ფული საბანკო ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში	98	
ფული სატერმინალო ანგარიშებზე	5,456	7,230
ფული სალაროში (სავაჭრო ობიექტებზე)	19,823	20,485
ფული სალაროში	612	2,591
სულ	37,668	45,119

17. საიჯარო ვალდებულებები

	31.12.2020		
	აშშ დოლარი	ლარი	სულ
1 წლის განმავლობაში იჯარაზე გადასახდელი თანხები	318,486	17,100	335,586
1-დან 5 წლამდე იჯარაზე გადასახდელი თანხები	498,042	25,025	523,067
5 წელზე მეტ დროში იჯარაზე გადასახდელი თანხები		-	
სულ იჯარაზე გადასახდელი თანხები	816,528	42,125	858,653
აქედან გადასახდელი პროცენტი	147,751	6,671	154,421
გადასახდელი ძირითადი თანხა	668,777	35,454	704,231

18. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2020	2019
სავაჭრო ვალდებულებები	995,347	621,685
მაკონტროლებლის წინაშე		
სხვა სავაჭრო ვალდებულებები	292,911	307,841
სახელფასო ვალდებულებები	12,804	16,897
სხვა ვალდებულებები	13,690	19,812
საგადასახადო ანარიცხები		-
სულ	1,314,752	966,235

19. დააკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

	2020	2019	2018
მაკონტროლებელი საწარმო	-	-	-
შვილობილი საწარმო			
მაკონტროლებელ საწარმოს			
კონტროლ ქვეშ მყოფი			
საწარმოები			
სულ			

=

20. დააკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციების დაუფარავი ნაშთები:

	2020	2019
მაკონტროლებელი საწარმო	318,010	318,010
შვილობილი საწარმო	-	89181
სულ	318,010	407,191

ვალდებულებები

	2020	2019
მაკონტროლებელი საწარმო	995,347	621,685
შვილობილი საწარმო		
მაკონტროლებელი საწარმოს		
კონტროლ ქვეშ მყოფი		
<u>საწარმოები</u>		
	995,347	621,685

21. საქონლის/მომსახურება შეძენა:

	2020	2019	2018
მაკონტროლებელი საწარმო/საქონლის შეძენა		910,213	
მაკონტროლებელი საწარმო/ვალდებულების გადაფარვა		456,640	
შვილობილი საწარმო			
მაკონტროლებელი საწარმოს კონტროლ ქვეშ მყოფი საწარმოები			
<u>სულ</u>	-	1,366,853	

22. მარაგები

	2020	2019
მედიკამენტები	1,117,695	1,192,379
გაუფასურებული		
მედიკამენტები	(10,612)	(8,580)
სათადარიგო სამეურნეო		
მარაგი	20,891	12,509
საწვავი	736	779
<u>სხვა საქონელი</u>		-
<u>სულ</u>	1,128,710	1,197,087

23. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2020	2019
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	15,486	16,796
გადახდილი ავანსები	9,189	18,754
მოთხოვნა შვილობილი საწარმოს მიმართ	-	89,181
სხვა მისაღები აქტივები	5,139	4,014
გრძელვადიან იჯარეზე გადასახდელი თანხებიდან გამოყოფილი მომავალში ჩასათვლედი დღგ-ს მიმდინარე ღირებულება	24,475	28,381
სულ	54,289	157,126

24. დირექტორისა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება

	2020	2019	2018
შრომის ანაზღაურება მთლიანად	22,336	18,091	18000
სულ	22,336	18,091	18000

25. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

2019 წლის საანგარიშო პერიოდში საწარმოს დაკავშირებულ მხარესთან განხორციელებული აქვს ოპერაციები, როგორც მაკონტროლებელ საწარმოსთან, ისე მის შვილობილ საწარმოებთან.

დაკავშირებულ მხარეებზე პროდუქცია (მომსახურება) იყიდებოდა ჩვეულებრივ ფასში, ფასდათმობის გამოკლებით. ანალოგიურად, შეძენები ხდებოდა საბაზრო ფასით.

საანგარიშწორებო ნაშთები არაფრით არაა უზრუნველყოფილი და გადახდილი იქნება ფულადი ფორმით. არ ყოფილა გაცემული და მიღებული არანაირი გარანტია. საანგარიშგებო წელს და წინა წლებში არ დარიცხულა საეჭვო ვალის რეზერვები დაკავშირებულ მხარეებთან მიმართებით.

26. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღამდე, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან საწარმოს ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

27. რისკების მართვის პოლიტიკა და პროცედურები

ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებული რისკების მართვის პოლიტიკა მიზნად ისახავს საწარმოს წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებას, ანალიზსა და მართვას, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესების, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგის გზით.

საწარმოს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია რისკების მართვის სტრუქტურისა და ძირითადი რისკების მართვის ზედამხედველობაზე, რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების განახლებაზე და საწარმოზე არსებითი გავლენის მქონე რისკების დამტკიცებაზე.

28. კაპიტალის მართვა

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი და შეზღუდული არ არის შესაბამის საქმიანობის პირობებში კაპიტალის მინიმალური სიდიდის მოთხოვნები.

კაპიტალის მართვასთან დაკავშირებით საწარმოს მიზანია შეინარჩუნოს და გააგრძელოს საქმიანობა შემდგომში, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ ისე, რომ კვლავ შეძლოს მესაკუთრეებისათვის მოგების მიცემა.

29. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

შპს „ემ ფარმა“-ს დირექტორმა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2021 წლის 30 სექტემბერს.